მოკლე ბიოგრაფია
სოფიო შენგელია 2021 წლიდან არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი. 2008-2011 წლებში, სოფიოს ეკავა აკადემიური მენეჯერის პოზიცია კავკასიის სამართლის სკოლაში. 2011-2018 წლებში იყო კავკასიის სამართლის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი. 2018-2020 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის პოზიციაზე. 2020-2021 წლებში სოფიო იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში, პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის (სამმართველო) კონსულტანტის პოზიციაზე. 2019-2020 წლებში იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი. 2023 წლიდან დღემდე არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბავშვთა უფლებების ცენტრის დირექტორი. სოფიო 2011 წლიდან აქტიურად ეწევა აკადემიურ საქმიანობას. 2015 წლიდან უძღვება კავკასიის უნივერსიტეტში, ქართული სამართლის ისტორიის სალექციო კურსს. 2019-2021 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 2021 წლიდან კი არის ამავე უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აფილირებული ასოცირებული პროფესორი. სოფიო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების მომზადებასა და ხელმძღვანელობაში.